პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 271 (18813) პარასკევი, 25 ნოემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ უკვე აცნობა საბჭოთა ადამიანებს და სხვა ხალხებს, თუ როგორ აფასებს ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის მილიტარისტულ კურსს, და გაანფრთხილა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი თანამოაზრე დასავლეთის ქვეყნების მთავრობები ასეთი კურსის საშიში შედეგების შესახებ.

მაგრამ ვაშინგტონმა, ბონმა, ლონდონმა და რომმა ყურად არ იღეს გონების ხმა — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის ტერიტორიაზე იწყება საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტების განლაგება. ამგვარად, ევროპის კონტინენტზე ამერიკის „პერშინგებისა" და ფრთოსანი რაკეტების გამოჩენა მომხდარი ფაქტი ხდება.

თითქმის ორმოცი წელია — მეტ ხანს, ვიდრე ოდესმე თანამედროვე ისტორიაში — ევროპა მშვიდობის პირობებში ცხოვრობს. ეს შესაძლებელი გახდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამიმდევრულად მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის, კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ძალების მეცადინეობის, აგრეთვე დასავლეთის საღად მოაზროვნე პოლიტიკოსების რეალური პოზიციის შედეგად. ევროპაში შექმნილი სამხედრო ძალების, მათ შორის ბირთვული ძალების დაახლოებითი წონასწორობა ჩრდილოატლანტიკური კავშირის სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს შორის ობიექტურად ემსახურებოდა ევროპის უშიშროებისა და სტაბილურობის საქმეს.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატები და მთლიანად ნატო ახორციელებენ ღონისძიებას, რომლის მიზანია თავისკენ გადასწონონ სასწორის პინა. საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების საზღვრების მახლობლად განლაგებენ ბირთვულ რაკეტებს, რომლებიც სულაც არ არის გამიზნული დასავლეთ ევროპის დასაცავად — მას არავინ ემუქრება. ევროპის მიწა-წყალზე ამერიკული რაკეტების განლაგების შედეგად გაიზრდება არა ევროპის უშიშროება, არამედ იმის რეალური საშიშროება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ევროპის ხალხებს კატასტროფას დაატეხს თავს.

ორ მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიას არ შეხებია ნგრევის ხანძარი. ვაშინგტონში დღესაც სურთ იფიქრონ, რომ ევროპაში საშუალო სიშორის თავიანთი რაკეტების განლაგებით, რაც დამატებით ბირთვულ საფრთხეს უქმნის სოციალისტურ ქვეყნებს, შეძლებენ თავიდან აიცილონ თავიანთი სახლის საპასუხო დარტყმა. რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთევროპელ მოკავშირეთა უშიშროებას, როგორც ჩანს, იგი ამერიკელ ხელმძღვანელებს მხოლოდ იმდენად აინტერესებთ, რამდენადაც დასავლეთევროპელები შეძლებენ თავიანთი სიცოცხლის, თავიანთი ქალაქების ფასად შეამცირონ შურისგება თვით შეერთებული შტატებისადმი, თუ ვაშინგტონი აჰყვება ცდუნებას და ბირთვულ ომს გააჩაღებს ილუზიური იმედით, რომ მას მოიგებს.

დასავლეთ ევროპაში ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება სულაც არ არის ნაბიჯი, რომელიც გამოწვეულია რეაქციით დასავლეთში თითქოს არსებულ შეშფოთებაზე ევროპაში მხარეების ძალთა ახლანდელი თანაფარდობის გამო. მრავალგზის, კონკრეტული ციფრებით დამტკიცდა და ამას ეთანხმება ბევრი დასავლელი პოლიტიკური მოღვაწე და სპეციალისტი, — რომ ამჟამად ევროპაში ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებას შორის არის დაახლოებითი თანასწორობა საშუალო სიშორის ბირთვული საშუალებების მიხედვით, ხოლო ბირთვული მუხტების მიხედვით არსებული უპირატესობა ნატოს მხარეზეა. ასე რომ, თუ ვინმე შეიძლება იყოს შეშფოთებული, ეს ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებია, რომლებსაც ნატოს სახელმწიფოთა სამხედრო მანქანები ემუქრება.

ყოველივე ამის შეფასებისას საბჭოთა კავშირს, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს არ შეუძლიათ თვალი დახუჭონ იმაზეც, რომ ვაშინგტონმა „ჯვაროსნული ლაშქრობა" გამოაცხადა სოციალიზმის, როგორც საზოგადოებრივი სისტემის წინააღმდეგ და რომ ისინი, ვინც ახლა ჩვენი სახლის ზღურბლთან ახალი ბირთვული იარაღის განლაგების განკარგულება გასცა, თავის პრაქტიკულ პოლიტიკას ამ უგუნურ დებულებაზე ამყარებენ. ჩანს, ევროპაში „პერშინგ-2" და ფრთოსანი რაკეტების განლაგებით ნატოს მთელი რიგი ქვეყნების მთავრობებს სურთ ამ ავანტიურისტულ დებულებას შეუქმნან კონკრეტული რაკეტულ-ბირთვული ბაზა.

განა შეუძლიათ საბჭოთა კავშირს, სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ანგარიში არ გაუწიონ ამ საფრთხეს? არა, არ შეუძლიათ. სწორედ ამიტომ შვიდი სოციალისტური ქვეყნის უმაღლესმა პარტიულმა და სახელმწიფო ხელმძღვანელებმა მოსკოვში 1983 წლის 28 ივნისს გამართულ შეხვედრაზე განაცხადეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებენ ნატოს ბლოკის სამხედრო უპირატესობას ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებთან შედარებით.

როცა თავიანთ ქვეყნებში ამერიკული რაკეტების განლაგებას დათანხმდნენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის და იტალიის მთავრობებს არ შეეძლებოდა არ სცოდნოდათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს თავიდანვე არ სურდა მიეღწია ურთიერთმისაღები მორიგებისათვის ევროპაში ბირთვული შეიარაღების თაობაზე და ყოველი ღონე იხმარა ჟენევის მოლაპარაკებაზე და მის გარეთ, რათა ასეთი მორიგებისათვის ვერ მიეღწიათ. მათ არ შეეძლებოდა არ სცოდნოდათ ისიც, რომ საბჭოთა კავშირი, მისი მოკავშირეები უცილობლად განახორციელებდნენ საჭირო ღონისძიებებს თავიანთი უშიშროების დასაცავად, ნებას არ მისცემდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს და მთლიანად ნატოს, დაერღვიათ ევროპაში არსებული ძალთა დაახლოებითი წონასწორობა.

ჩვენ მკაფიოდ განვაცხადეთ აგრეთვე, რომ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების გამოჩენა შეუძლებელს გახდის იმ მოლაპარაკების განგრძობას, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობდა ევროპაში ბირთვული შეიარაღების თაობაზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და იტალიის მთავრობების მიერ ბოლო დღეებში მიღებული გადაწყვეტილებანი არაორჭოფულად ცხადყოფს, რომ საკუთარი ხალხების ნების საწინააღმდეგოდ თავიანთი ქვეყნების უშიშროების ინტერესების საწინააღმდეგოდ, ევროპისა და საყოველთაო მშვიდობის ინტერესების საწინააღმდეგოდ ამ მთავრობებმა „მწვანე შუქი" აუნთეს ამერიკული რაკეტების განლაგებას. ამით მთა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ერთად მთელი პასუხისმგებლობა იკისრეს ბეიი პოლიტიკის შედეგების გამო, რომელთა შესახებაც წინდაწინვე აფრთხილებდა საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ გულდასმით აწონ-დაწონა შექმნილი ვითარების ყველა მხარე და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება.

პირველი. იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი მოქმედებით ჩაშალა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებაზე ურთიერთმისაღები მორიგების მიღწევის შესაძლებლობა, და მისი განგრძობა ამ პირობებში მხოლოდ საფარს შეუქმნის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მთელი რიგი სხვა ქვეყნების მოქმედებას, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხარონ ევროპისა და საერთაშორისო უშიშროებას, საბჭოთა კავშირს შეუძლებლად მიაჩნია თავისი შემდგომი მონაწილეობა ამ მოლაპარაკებაში.

მეორე. უქმდება საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივი წესით ნაკისრი ვალდებულებანი, რომელთა მიზანი იყო შეექმნათ უფრო ხელსაყრელი პირობები მოლაპარაკებაზე წარმატების მისაღწევად. ამით უქმდება მორატორიუმი სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში საშუალო სიშორის საბჭოთა ბირთვული საშუალებების განლაგებაზე.

მესამე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობებთან შეთანხმებით დაჩქარდება, რის შესახებაც უკვე გამოცხადებული იყო, რამდენიმე ხნის წინათ დაწყებული მოსამზადებელი სამუშაოები ამ ქვეყნების ტერიტორიებზე გადიდებული სიშორის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების განლაგებისათვის.

მეოთხე. რამდენადაც ევროპაში თავისი რაკეტების განლაგების გზით ამერიკის შეერთებული შტატები უზრდის ბირთვულ საფრთხეს საბჭოთა კავშირს, შესაბამისი საბჭოთა სამუალებანი განლაგდება ამ გარემოების გათვალისწინებით ოკეანეების რაიონებსა და ზღვებში. ეს ჩვენი სამუალებანი თავისი ხასიათით ადეკვატური იქნება იმ საფრთხისა, რომელსაც გვიქმნიან ჩვენ და ჩვენს მოკავშირეებს ევროპაში განლაგებული ამერიკული რაკეტები.

რა თქმა უნდა, განვახორციელებთ სხვა ღონისძიებებსაც, რომელთა მიზანია სსრ კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფა.

ვიწყებთ რა ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას, ვაცხადებთ, რომ საბჭოთა კავშირის საპასუხო ღონისძიებები ზუსტად იმის შესაბამისი იქნება, რომელსაც ნატოს ქვეყნების მოქმედება გვიკარნახებს. საბჭოთა კავშირი — ჩვენ კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ ამას — არ ესწრაფვის სამხედრო უპირატესობას, და ჩვენ ვიზამთ მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ არ დაირღვეს სამხედრო წონასწორობა.

თუ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს სხვა ქვეყნები მოისურვებენ დაუბრუნდნენ ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული რაკეტების განლაგების დაწყებამდე არსებულ მდგომარეობას, საბჭოთა კავშირიც მზად იქნება ასევე მოიქცეს. მაშინ კვლავ ძალამოსილი გახდებოდა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების საკითხებზე ჩვენს მიერ წინათ წამოყენებული წინადადებებიც. ამ შემთხვევაში, ანუ წინათ არსებული მდგომარეობის აღდგენის პირობით, კვლავ ამოქმედდება ამ სფეროში სსრ კავშირის მიერ ნაკისრი ცალმხრივი ვალდებულებანიც.

საბჭოთა კავშირი სრულიად გარკვევითია და მტკიცედ აცხადებს, რომ იგი გამალებული შეიარაღების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის, ბირთვული ომის საფრთხის შემცირების და საბოლოო ანგარიშით სრულიად თავიდან აცილების პრინციპული კურსის ერთგული რჩება. იგი კვლავაც მთელ მეცადინეობას მოახმარს ამ კეთილშობილური მიზნების მიღწევას.

საბჭოთა კავშირი უწინდებურად მხარს უჭერს ევროპაში ბირთვული შეიარაღების საკითხის ყველაზე რადიკალურ გადაწყვეტას. იგი იმეორებს თავის წინადადებას, რომ ევროპა ბირთვული იარაღისაგან, როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური იარაღისაგან საერთოდ თავისუფალი გახდეს.

საბჭოთა ხელმძღვანელობა მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ხელმძღვანელებს კიდევ ერთხელ აწონ-დაწონონ, თუ რა საფრთხეს უქმნის მათსავე ხალხებს, მთელ კაცობრიობას ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების გეგმების რეალიზაცია.

ჩვენ ახლაც უაღრესად მერყევ მსოფლიოში ვცხოვრობთ. ამიტომ პასუხისმგებელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა უნდა შეაფასონ ის, რაც ხდება, და მიიღონ რაციონალური გადაწყვეტილება. კაცობრიობის ხსნა მრისხანე განსაცდელისაგან შეუძლია და უნდა შეძლოს მხოლოდ ადამიანის გონებამ. ჩვენ მოვუწოდებთ იმათ, ვინც უბიძგებს მსოფლიოს სულ უფრო სახიფათო გამალებული შეიარაღების გზაზე, უარი თქვან აუხდენელ იმედზე, რომ ასეთი გზით მიაღწევენ სამხედრო უპირატესობას იმისათვის, რომ თავიანთი ნება უკარნახონ სხვა ხალხებსა და სახელმწიფოებს.

საბჭოთა კავშირი დარწმუნებულია, რომ მშვიდობა შეიძლება განმტკიცდეს და ხალხთა უშიშროება გარანტირებული იყოს არა სულ ახალ-ახალ სახეობათა შეიარაღების ზრდისა და გამოგონების გზით, არამედ, პირიქით, არსებული შეიარაღების გაცილებით დაბალ დონემდე შემცირების გზით. კაცობრიობის წინაშე ძალზე ბევრი ამოცანა დგას, რომლებიც მხოლოდ იმიტომ ვერ წყდება, რომ კოლოსალური მატერიალური, ინტელექტუალური და სხვა რესურსები სულ სხვა რამეს ხმარდება. და ამ თვალსაზრისით ბირთვული და სხვა შეიარაღების რადიკალური შემცირების შესახებ მორიგების მიღწევა ბედნიერება იქნებოდა ყველა ხალხისათვის.

საბჭოთა ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ, ასრულებს რა საბჭოთა ხალხის ნებას, იგი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა თავიდან აიცილოს ომის საფრთხე, შეუნარჩუნოს მშვიდობა ახლანდელ და მომავალ თაობებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

გულითადი მადლობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელზე მოვიდა მშრომელების, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრების მრავალრიცხოვანი მისალმება და მილოცვა.

მისასალმებელი წერილები ცხადყოფს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას, დიდი ლენინის ანდერძისადმი საბჭოთის კომუნისტთა ერთგულებას, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბრის სამშობლოს ისტორიული მიღწევებისათვის საბჭოთა ადამიანების სიამაყეს. ამ წერილებში ასახულია, რომ ჩვენ ხალხს სწამს თავისი იდეური სიმართლე, მზად არის თავდადებით იშრომოს, ახალი წარმატებები მოიპოვოს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ეტაპის იმ დიდი ამოცანების შესრულებაში, რომლებიც დასახა პარტიამ თავის XXVI ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმებზე.

მისასალმებელ წერილებში საბჭოთა ხალხი მთლიანად უჭერს მხარს და მხურვალედ იწონებს პარტიის პოლიტიკურ კურსს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის დაუცხრომელ მოღვაწეობას სამეურნეო მექანიზმის, ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების მთელი ერთობლიობის სრულყოფისათვის, საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების, მთელ პლანეტაზე მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული შრომითი კოლექტივები, რომლებიც ავლენენ შრომითს ენთუზიაზმს, საქმისადმი გულმოდგინეობით მზრუნველ დამოკიდებულებას, გვიპატაკებენ, რომ წარმატებით შეასრულეს მიმდინარე წლის მოყალიბებულ ამოცანებს, ეფექტიანად უწყობს ხელს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის განვითარებას.

გაფართოდა პალატის საგარეო ურთიერთობა, კიდევ უფრო განვითარდა მისი საქმიანობა სსრ კავშირში და საზღვარგარეთ გამოფენების ორგანიზაციის, გამოგონებათა დაპატენტების, საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ექსპერტიზის, თარგმანების, რეკლამის, საგარეოსავაჭრო და საზღვაო არბიტრაჟის დარგში. 1982 წელს პალატის დაჯილდოება ხალხთა მეგობრობის ორდენით მისი ნაყოფიერი მუშაობის მაღალი შეფასებაა.

ახლა პალატის ნამდვილი წევრია ქვეყნის 4,5 ათასზე მეტი სამრეწველო საწარმო, სამეცნიერო-კვლევითი, საგარეო-სავაჭრო და სხვა ორგანიზაცია.

პალატას მჭიდრო საქმიანი კონტაქტები აქვს პრაქტიკულად ყველა ქვეყნის — საბჭოთა კავშირის ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ანალოგიურ ორგანიზაციებთან.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობა კვლავაც ხელს შეუწყობს სსრ კავშირის ეკონომიკური ძლიერების ზრდას, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდში

„სალუტ-7" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის მომზადებისა და განხორციელების მონაწილე მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, კოსმონავტებს ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვს, ალექსანდრე პავლეს ძე ალექსანდროვს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის გეგმაზომიერ ათვისებაში. წარმატებით დამთავრდა „სალუტ-7" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვისა და ალექსანდრე პავლეს ძე ალექსანდროვის 150 დღე-ღამის ფრენის პროგრამა.

ფრენის დროს ეკიპაჟმა შეასრულა დიდი მოცულობის სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევები და ექსპერიმენტები, რომლებსაც განსაკუთრებული სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ. მიღებულია ვრცელი ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი რესურსების კვლევისა და გარემოს შესწავლის პროგრამით. შემუშავებული და გამოცდილია ტექნოლოგიური პროცესები და დანადგარები, რომლებიც საფუძველს უქმნის ახალი მასალებისა და სამკურნალოწამლო პრეპარატების მომავალ კოსმოსურ წარმოებას.

პილოტირებული ფრენის პრაქტიკაში პრინციპულად ახალი ეტაპია ღია კოსმოსში დამატებითი მზის ბატარეების დადგმის რთული სამონტაჟო-ასაწყობი სამუშაოების განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სადგურის ენერგეტიკულ შესაძლებლობებს და აფართოებს სადგურში სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების პროგრამას.

სამონტაჟო-ასაწყობი სამუშაოების განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს სადგურში პერსპექტიული კონსტრუქციების აწყობის ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფისათვის.

სადგურში უნიკალური სამონტაჟო ოპერაციების შესრულება შესაძლებელი გახდა ეკიპაჟის ზუსტი მუშაობის მეოხებით, რომელმაც ვაჟკაცობა და მაღალი პროფესიული ოსტატობა გამოიჩინა.

ვრცელი სამეცნიერო პროგრამის წარმატებით შესრულებამ ცხადყო კარგი საექსპლოატაციო შესაძლებლობანი საბჭოთა კოსმოსური ტექნიკისა, რომელიც შეიქმნა მრავალი სამეცნიერო, საკონსტრუქტორო და საწარმოო კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად.

საბჭოთა კოსმონავტიკა გულდაჯერებით და თანამიმდევრულად ავითარებს თავის ძირითად მიმართულებას კოსმოსის ათვისებაში — ქმნის რთულ ორბიტულ პილოტირებულ კომპლექსებს, რომლებიც ხანგრძლივი ექსპლოატაციის დროს შეიძლება დაიხვეწოს და გარდაიქმნას გადასაწყვეტ ამოცანათა ხასიათის გათვალისწინებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვსა და ალექსანდრე პავლეს ძე ალექსანდროვს ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის პროგრამის ჩინებულად შესრულებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

150 დღე-ღამის ფრენა წარმატებით დამთავრდა

კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი და ალექსანდრე ალექსანდროვი დაბრუნდნენ დედამიწაზე

საკავშირო ცნობა

კოსმონავტებმა ამხანაგებმა ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვმა და ალექსანდრე პავლეს ძე ალექსანდროვმა წარმატებით დაამთავრეს „სალუტ-7"-„სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით 150 დღე-ღამის ფრენის პროგრამა და 1983 წლის 23 ნოემბერს მოსკოვის დროით 22 საათსა და 58 წუთზე დაბრუნდნენ დედამიწაზე.

„სოიუზ ტ-9" ხომალდის დასაშვები პარაკი დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიის გათვალისწინებულ რაიონში ქალაქ ჯეზყაზგანის აღმოსავლეთით 160 კილომეტრზე. დაშვების შემდეგ კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ.

ხანგრძლივი ფრენის მანძილზე ეკიპაჟმა შეასრულა დიდი მოცულობის სამეცნიერო-ტექნიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ექსპერიმენტები.

ეკიპაჟის მუშაობის პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო გეოფიზიკურ კვლევას, რომლის მიზანი იყო ამოცანათა გადაწყვეტა ქვეყნის მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის. შეგროვილია დიდძალი სტატისტიკური მასალა დედამიწის ბუნებრივი რესურსების, ატმოსფეროს მდგომარეობის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სეზონური ცვლილებების, მსოფლიო ოკეანის ბიოლოგიური პროდუქტიულობის შესახებ.

ახალი გამოკვლევები შესრულდა კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამათა. დანადგარ „კრისტალზე" მიღებულია გაუმჯობესებული მახასიათებლების მქონე ნახევარგამტარი მასალების ნიმუშები, ხოლო „პოინტ" აპარატურის საშუალებით შესრულებულია ექსპერიმენტების სერია ორბიტული ფრენის პირობებში ფიზიკური პროცესების თავისებურებათა შესწავლის მიზნით. ხელსაწყო „ელექტროტოპოგრაფის" გამოყენებით უშუალოდ სადგურში მოეწყო ღია კოსმოსის ზემოქმედების შემდეგ კონსტრუქციულ მასალათა მდგომარეობის გამოკვლევა. „ტავრიდა" ბიოტექნიკური დანადგარით უწონობის პირობებში შესრულდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის ექსპერიმენტები განსაკუთრებით წმინდა ცილოვანი პრეპარატის მიღებისათვის.

„სალუტ-7" სადგურში გაგრძელდა ბიოლოგიური ექსპერიმენტები, რომელთა მიზანია კოსმოსური ფრენის პირობებში უმაღლეს მცენარეთა კულტივირების ტექნოლოგიის დამუშავება.

ეკიპაჟის ფრენის პროგრამის დიდმნიშვნელოვანი ნაწილი იყო „სალუტ-7" სადგურის გარეთა ზედაპირზე რთული სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება. ღია კოსმოსში ორი გასვლის პროცესში, რომელთა საერთო ხანგრძლივობამ 5 საათი და 45 წუთი შეადგინა, ამხანაგებმა ლიახოვმა და ალექსანდროვმა სადგურზე დადგეს დამატებითი

(დასასრული მე-2 გვ.).

კოსმონავტები ვლადიმერ ლიახოვი (მარცხნივ) და ალექსანდრე ალექსანდროვი დედამიწაზე დაშვებიდან 12 საათის შემდეგ.

საკავშირო-საკინოფოტოს ტელეფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ვ. ა. ლიახოვის ლენინის ორდენითა და მეორე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით დაჯილდოების შესახებ

„სალუტ-7" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის წარმატებით განხორციელებისა და ამ დროს გამოვლენილი მამაცობის და გმირობისათვის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ამხ. ვლადიმერ ათანასეს ძე ლიახოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენითა და მეორე „ოქროს ვარსკვლავის" მედლით.

საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ვ. ა. ლიახოვის მამაცობის აღსანიშნავად გმირის სამშობლოში დაიდგას ბრინჯაოს ბიუსტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ანდროპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი.
1983 წლის 23 ნოემბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ა. პ. ალექსანდროვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდების მინიჭების შესახებ

„სალუტ-7" — „სოიუზ" ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსით კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის ამხ. ალექსანდრე პავლეს ძე ალექსანდროვს მიენიჭოს „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის" წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ანდროპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. **1983 წლის 23 ნოემბერი.**

სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყრილობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მიესალმება სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყრილობის დელეგატებს.

სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომელიც ასრულებს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ ამოცანებს, ეფექტიანად უწყობს ხელს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის განვითარებას.

სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ყრილობას

სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელზე მოვიდა მშრომელების, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრების მრავალრიცხოვანი მისალმება და მილოცვა.

მისასალმებელი წერილები ცხადყოფს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას, დიდი ლენინის ანდერძისადმი საბჭოთის კომუნისტთა ერთგულებას, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ოქტომბრის სამშობლოს ისტორიული მიღწევებისათვის საბჭოთა ადამიანების სიამაყეს. ამ წერილებში ასახულია, რომ ჩვენ ხალხს სწამს თავისი იდეური სიმართლე, მზად არის თავდადებით იშრომოს, ახალი წარმატებები მოიპოვოს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ეტაპის იმ დიდი ამოცანების შესრულებაში, რომლებიც დასახა პარტიამ თავის XXVI ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმებზე.

მისასალმებელ წერილებში საბჭოთა ხალხი მთლიანად უჭერს მხარს და მხურვალედ იწონებს პარტიის პოლიტიკურ კურსს ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის დაუცხრომელ მოღვაწეობას სამეურნეო მექანიზმის, ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების მთელი ერთობლიობის სრულყოფისათვის, საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების, მთელ პლანეტაზე მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული შრომითი კოლექტივები, რომლებიც ავლენენ შრომითს ენთუზიაზმს, საქმისადმი გულმოდგინე მზრუნველ დამოკიდებულებას, გვიპატაკებენ, რომ წარმატებით შეასრულეს მიმდინარე წლის

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

150 დღე-ღამის ფრენა წარმატებით დამთავრდა

(დასასრული)

მზის ბატარეები მისი ელექტროკვების სისტემის სიმძლავრის გადიდებისა და ღია კოსმოსური სივრცეში სამონტაჟო-ასაწყობი ოპერაციების შესრულების შეთოდების შემდგომი დამუშავებისათვის. ამ უნიკალური ექსპერიმენტის განხორციელება ახალ პერსპექტივებს უსახავს პილოტირებული ხანგრძლივი ორბიტული კომპლექსების გამოყენების განვითარებასა და ეფექტიანობის ამაღლებას.

ხანგრძლივი ექსპედიციის მანძილზე რეგულარულად ეწყობოდა ეკიპაჟის სამედიცინო შემოწმება. მიღებულია ახალი ცნობები, რომლებიც ადასტურებს უწონობაში, ამასთან ღია კოსმოსის პირობებში ადამიანის აქტიური საქმიანობის შესაძლებლობას, და რომელსაც გამოიყენებენ პილოტირებულ სადგურებში კოსმონავტების შრომისა და დასვენების ოპტიმალური რეჟიმების განსაზღვრისას. პროფილაქტიკურ სამედიცინო ღონისძიებათა კომპლექსმა შესაძლებელი გახადა ვლადიმერ ლიახოვისა და ალექსანდრე ალექსანდროვის დიდი შრომის უნარიანობისა და ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობის უზრუნველყოფა.

შესრულებულია მნიშვნელოვანი რაოდენობის ტექნიკური ექსპერიმენტები ორბიტული კომპლექტების მართვის მეთოდების დამუშავებისათვის, მოიწყო პერსპექტიული კოსმოსური აპარატების ახალი ხელსაწყოებისა და მოწყობილობის გამოცდა.

კოსმონავტების მუშაობისათვის საჭირო მთელი მოწყობილობა, აპარატურა და სახარჯავი მასალები სადგურზე იგზავნებოდა „კოსმოს-1443“ ხომალდ-თანამგზავრით და „პროგრეს-17“ და „პროგრეს-18“ ავტომატური სატვირთო ხომალდებით. ტვირთი, რომელიც შეიცავდა სადგურზე ეკიპაჟის მიერ შესრულებული კვლევის შედეგებად მასალებს, დედამიწაზე ჩამოტანილია „კოსმოს-1443“ ხომალდ-თანამგზავრის დასაბრუნებელი აპარატით. აგრეთვე „სოიუზ-ტ-9“ პილოტირებული ხომალდით.

„სალუტ-7“ სადგურში მორიგი ექსპედიციის ფრენის პროგრამის წარმატებით განხორციელება იმ შეთანხმებული და ზუსტი მუშაობის შედეგია, რომელსაც ეწეოდნენ ბევრი სამეცნიერო, საკონსტრუქტორო და საწარმოო კოლექტივი, ეკიპაჟი, კოსმოდრომის, კოსმონავტების მომზადების ცენტრის, ფრენის მართვის ცენტრის, საკომანდო-საზომი და საძიებო-მაშველი კომპლექსების სპეციალისტები.

150 დღე-ღამის კოსმოსური ფრენის მანძილზე შესრულებული კვლევისა და ექსპერიმენტების შედეგები გამოყენებული იქნება ჩვენი ქვეყნის მეცნიერების, ტექნიკისა და სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში.

მორიგი ხანგრძლივი პილოტირებული ფრენის განხორციელება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მნიშვნელოვანი წარმატებაა კოსმოსური სივრცის მშვიდობიან ათვისებაში, ღირსეული წვლილია მეფირმეტე ხუთწლედის მესამე წლის ამოცანათა გადაწყვეტაში.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

ვანი საინტერესო ისტორიის მქონე მთაგორიანი რაიონია. დღეს აქ იღვწიან და შრომობენ მაღალი სულისა და კულტურის ადამიანები. მათი მოუღლელი გარჯის შედეგია, რომ რაიონი ყოველწლიურად იზრდება და ეკონომიკურად ძლიერდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შეუნელებელი ზრუნვით რესპუბლიკის სოფლებში საერთოდ, და კერძოდ, ვანის რაიონში დიდი ძვრები მოხდა სასურსათო პროგრამის უთუოდ შესრულების საქმეში. 1981 წლის დეკემბერში 600 სული პირუტყვისათვის სიექსპლოატაციოდ გადაეცა შუამთის ლენინის სახელობის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ფერმის კომპლექსი, 1982 წელს შეიქმნა ციხესულორის მებოსტნეობა-მევენახეობის მეურნეობა, წლეულს მეფრინველეობის ფაბრიკა, სადაც 50 ათასი ფრთა ფრინველი ეყოლებათ. შენდება სამეურნეობათაშორისო მეღორეობის კომპლექსი შუამთაში 2 ათასი სული ღორისათვის და სხვ.

რაიონის სასურსათო პროგრამით გათვალისწინებულია მეცხოველეობის წარმოების საგრძნობი გადიდება, მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა. ვანი მცირემიწიანი რაიონია, ამიტომ დიდია პირუტყვის სიმჭიდროვე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, მართალია, სასურსათო პროგრამა მხვლიფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვან ზრდას არ ითვალისწინებს, მაგრამ ჯოგში ფურების რაოდენობა საგრძნობლად იმატებს და იგი 1985 წლისათვის 1980 წელთან შედარებით 475 სულით გაიზრდება. ფურების რაოდენობა იმატებს აგრეთვე მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობებში და 1980 წელს არსებული 5.632 სულიდან მიმდინარე ხუთწლედის ბოლოსათვის 8.950 სულს მიაღწევს. იმატებს ქუთაისის რაოდენობაც, გაუმჯობესდება სუქების ორგანიზაცია.

მეცხოველეობის დარგის განვითარება აუცილებლად აყენებს საკვები ბაზის განმტკიცების ამოცანას. ამ მიმართულებით გათვალისწინებულია ინტენსიფიკაციის ფაქტორების ამოქმედებით საგრძნობლად გაიზარდოს საკვები კულტურების საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა, ბუნებრივი სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობა. რაიონში სერიოზული ყურადღება დაეთმო ისეთი ახალი შუალედური კულტურების დანერგვას, როგორიც არის ტურნეფსი, რაფსი, შვრია, ჰვავი, 1981 წლიდან დასავლეთ საქართველოში პირველად ვანში დანერგეს კომბოსტოს წარმოება. საქმე ის გახლავთ, რომ კომბოსტოს ნარჩენები დიდი რეზერვია პირუტყვის საკვებად. წლეულს რაიონში 100 ჰექტარზე დაირგო საშემოდგომო-საგვიანო კომბოსტოს ჩითილი ბარის თითქმის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში, საადრეო კომბოსტო კი 70 ჰექტარზე. ოქტომბრის ბოლოს დაიწყო საგვიანო კომბოსტოს აღება, მას სულ მცირე 1000-1500 ტონას მოელიან სამრეწველო-სარეალიზაციოდ. დღემდე აიღეს 400 ტონაზე მეტი, რომელიც მიიწოდეს თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობას. პარალელურად იღებენ ნარჩენებს და გზავნიან ფერმებში პირუტყვის საკვებად. სულ ცოტა 300-400 ტონა კომბოსტოს ნარჩენები მიემატება მწვანე საკვებად პირუტყვის ზამთრის ულუფას.

წლეულს 10 თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რაიონში აწარმოეს რძე 29,6 ტონით (თითოეული ფურის საშუალო წველადობამ იმატა 18 კილოგრამით, საქონლის სიკვდილიანობა შეეკირდა 44 სულით, ღორისა 129-ით). სახელმწიფოს მიეყიდა რძე 194 ტონით მეტი, ხოლო ხორცი — 55 ტონით მეტი. მიღწეულია აგრეთვე ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოებასა და რეალიზაციაში.

რაიონში ბოლო ცნობების მიხედვით, არის 5.746 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 1.196 სული საფურაძე ძროხა. ჰყავთ 3.402 სული ღორი. მრავალდარგოვანი რაიონისთვის პირუტყვის ეს სულადობა ცოტა როდია. როგორ ემზადებიან ვანელი მეცხოველეები საქონლის გამოზამთრებისათვის, ზამთარშიაც მაღალი წველადობის შენარჩუნებისათვის?

პარტიის რაიკომის მეორე მდივანთან ჯენერ კაპატაძესთან ერთად მივდივართ და ვათვალიერებთ ფერმებს. პირველად ვეწვიეთ ციხესულორის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ო. ბაზიაური, პარტიული კომიტეტის მდივანი რ. ნაფეტვარიძე), როგორც სახელმწიფოსა გვიჩვენებს, მეურნეობა მებოსტნეობა-მევენახეობის პროფილისაა, მაგრამ მეცხოველეობასაც მისდევენ. ჰყავთ კარგად მოვლილი პირუტყვი, რძისა და ხორცის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მოყიდვის 10 თვის საგეგმო დავალებები გადაჭარბებით არის შესრულებული. ეს იმიტომაც, რომ მეურნეობის საკვებდამამზადებელები ყოჩაღობენ. დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სილოსის ჩადების, ნაფიფასიანი საკვებით.

წლეულს, 21 სექტემბერს რაიკომის ბიუროს „ჯერ ... ზოგადოებრივ მეურნეობებში საკვების დამზადების მიმდინარეობის, მეცხოველეობის ფერმების გამოზამთრებისათვის მზადების საკითხი. ბიუროს მკაცრად აღნიშნა ზოგიერთი მეურნეობის ზარმაცი და უსულგულო მიდგომა საზოგადოებრივი მეცხოველეობისადმი. სოფელ კიროვის კოლმეურნეობაში დამზადებული 120 ტონა სილოსი ტექნოლოგიური პროცესების დაუცველობის შედეგად მთლიანად უვარგისი გახდა. ამ და სხვა ნაკლოვანებებისათვის ბიუროს რჩევა მისცა კოლმეურნეებს გადაერჩიათ თავმჯდომარე თანამდებობიდან. ეს ასეც მოხდა. ახალ თავმჯდომარეს მართებს მეტი ყურადღება დაუთმოს მეცხოველეობის ფერმებსა და პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუამთის ლენინის სახელობის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის კომპლექსი 1981 წლის დეკემბერში გადაეცა საექსპლოატაციოდ. მაგრამ რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამტრედიის № 10 ტრესტის მემონტაჟეებმა ბევრი სამუშაო უხარისხოდ შეასრულეს, ნაწილი კი დაუმთავრებელი დატოვეს და გაუჩინარდნენ.

კომპლექსის დათვალიერებისას მეცხოველეობის ფერმის მმართველმა სულიკო კუტაძემ, მთავარმა ზოოტექნიკოსმა თეიმურაზ კალაძემ და მომვლელებმა გულისტკივილით შემოგვჩივლეს, რომ კომპლექსში არ არის ნორმალური პირობები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ. მემონტაჟეებმა დღემდე ვერ მოახერხეს სარძეო ბლოკის მეორე რიგის ამოქმედება, საკვებურთა წესრიგში მოყვანა და სხვა.

ტრესტის მმართველმა ლევან ყიფიანმა ჩვენთან საუბარში უგულებელყო მეცხოველეთა ეს სამართლიანი საყვედური და ტრესტის მთავარი ინჟინრის გ. შენგელიასა და № 18 სპეციალიზებული მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსის ჯ. მალანიას მეშვეობით გაგვაცნო აქტები. ისიც გვითხრა, რომ კომპლექსს არ ჰყავს ტექნიკური კვალიფიციური სპეციალისტები (ენერგეტიკოსი, მექანიკოსი, და სხვ.), რის გამოც ობიექტების მომსახურება გართულებულია, ხოლო მეორე რიგის სარძეო ბლოკის მონტაჟისათვის დამკვეთებმა (ე. ი. მეურნეობის ხელმძღვანელობამ) დღემდე ვერ უზრუნველყვეს იგი წყლის გამანაწილებლებით, ვაკუუმ-მარეგულირებლებითა და სხვ.

რა ფასი აქვს ლ. ყიფიანის მიერ თავის მართლებას, როცა ტრესტის მემონტაჟეები კომპლექსის დათვალიერების დღეს არ ჩანდნენ, ხოლო წინა დღეებში დაწყებული სამუშაოები კვლავაც უპატრონოდ იყო მიტოვებული. ამით ი. ... ...

ულტიმატუმი
ფაქტები მოვლენები
საკლესიო იუწყება

საუბარი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაციასთან

23 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მიიღო პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ფ. კადუმი.

ფ. კადუმმა ილაპარაკა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობაში შექმნილი ვითარების, კერძოდ, ლიბანის ჩრდილოეთის ქალაქ ტრიპოლის რაიონში მომხდარი ამბების შესახებ, სადაც საქმე შეიარაღებულ შეტაკებებამდე მივიდა.

საბჭოთა მხარემ დიდი შეშფოთება გამოთქვა პალესტინელთა შორის ყოვლად უაზრო და არაბუნებრივი ძმათამკვლელი შეტაკებების გამო. გამომწვევი მიზეზების მოუხედავად ისინი ძირს უთხრიან ხანგრძლივ და ძნელ ბრძოლაში მოპოვებულ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის პოზიციებს და ხელს აძლევს მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელს, რომლებიც ისწრაფვიან საერთოდ „დახურონ“ პალესტინის საკითხი, გათიშონ არაბები და ფარხმალი დააყრევინონ მათ აგრესორის წინაშე.

საბჭოთა კავშირს საჭიროდ მიაჩნია, რომ ყველამ ვისაც აქვს საამისო შესაძლებლობანი, ხელი შეუწყოს პალესტინის არაბი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში შუღლის დაძლევასა და ერთიანობის აღდგენას.

ა. გრომიკომ გამოთქვა იმედი, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებს საღი აზრი და არაბი ხალხების ჭეშმარიტი ინტერესების გაგება. ყოველგვარი უთანხმოება პალესტინელთა რიგებში შეიძლება გადაიჭრას და უნდა გადაიჭრას ფოლიტიკური საშუალებებით. თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი კვლავაც ხელს შეუწყობს ამას.

დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირი უცვლელად უჭერს მხარს არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას ისრაელის აგრესიის შეწყვეტის, 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანისა და პალესტინელი ხალხის განუყოფელი ეროვნული უფლებების, კერძოდ, საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების უზრუნველყოფისათვის. ამ ბრძოლაში კვლავაც დიდმნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია — პალესტინელი ხალხის ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი.

ფ. კადუმმა უღრმესი მადლობა მოახსენა საბჭოთა კავშირს, რომელიც პრინციპულ პოზიციას დგება პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციაში წამოჭრილი პრობლემების მიმართ, ნიადაგ მტკიცედ უჭერს მხარს პალესტინელთა სამართლიან საქმეს.

საუბარმა მეგობრულ და საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. (საქ-დესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

24 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ მიიღო ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის დელეგაცია ფედერაციის თავმჯდომარის ფრენკ ფონ ჰიპელის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობდა მშვიდობის დაცვისათვის, ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა მეცნიერების კომიტეტის წევრებთან შეხვედრაში.

ამხ. ჩერქეზიამ მაღალი შეფასება მისცა მეცნიერთა საქმიანობას, რომლის მიზანია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა. მან აღნიშნა, რომ მეცნიერების წარმომადგენლებზე, მათ სოციალურ აქტიურობაზე ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული თანამედროვე სამყაროში. მათი შემწეობით მძლავრი ანტიბირთვული მოძრაობა, რომელიც მთელ პლანეტაზე გაიშალა, იძენს მეცნიერულად დასაბუთებულ ბაზას, მდიდრდება ახალი შინაარსით. მსოფლიოს მეცნიერებს, რომლებსაც თვალნათლივ აქვთ წარმოდგენილი ბირთვული კონფლიქტის, გამალებული შეიარაღების, კოსმოსის მილიტარიზაციის კატასტროფული შედეგები, შეუძლიათ უფრო აქტიური გავლენა მოახდინონ ქვეყნების მთავრობათა მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

სტუმრების სახელით ფრენკ ფონ ჰიპელმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისათვის, შინაარსიანი საუბრისათვის, მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მეცნიერებთან თბილისში გამართული შეხვედრებს კონსტრუქციული გულახდილი ხასიათი ჰქონდათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ შეხვედრების მონაწილეთა პოზიციები ერთმანეთს ემთხვეოდა მეტ წილ საკითხებში — როგორც ტექნიკურ, ისე პოლიტიკურ საკითხებში. ბირთვულ ომში არ შეიძლება იყვნენ გამარჯვებულნი — ასეთია საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერთა აზრი.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ე. ციხკარიშვილი. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში, პრესაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ამხ. ზურაბ გიორგის ძე **ახვლედიანი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1988 წლის 21 ნოემბერი.

ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა, რომ 1988 წლის ათი დეკემბრიდან იწყება რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მოქმედების მეორე ათწლეული. ამ საკითხის თაობაზე მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ მილიონობით ადამიანი თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ხშირად ეწირება სხვადასხვა ფორმის რასობრივ ჩაგვრას. გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა მომავალი ათწლეულის მოქმედების პროგრამა, რომელიც მიიღეს მიმდინარე წლის აგვისტოში ჟენევაში გამართულ რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე მსოფლიო კონფერენციაზე, და მოუწოდა ყველა სახელმწიფოს ითანამშრომლოს მისი განხორციელებისათვის.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა დასავლელმა მოკავშირეებმა ვერ გაბედეს აშკარად გაელაშქრათ საერთაშორისო გაერთიანების ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მაგრამ საადუმლო აღარ არის, რომ აპარტეიდისა და სიონიზმისათვის ვაშინგტონის მხარდაჭერა, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ საკუთარ ქვეყანაში რასიზმის წაქეზება მთავარ წინააღმდეგობებს ქმნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული მიზნების განხორციელების გზაზე. საგულისხმოა, რომ ჟენევის კონფერენციაზე მთელმა რიგმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ხმა მისცეს რასიზმთან ბრძოლის მოქმედების პროგრამის მიღების წინააღმდეგ, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საერთოდ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმში.

● თურქეთი

კომპარტიის განცხადება

ნიკოზია. თურქეთის კომპარტიამ გადაჭრით დაგმო კვიპროსის თურქთა თემის ხელმძღვანელობის სეპარატისტული აქცია და ხაზი გაუსვა, რომ კუნძულის გაყოფა კარგს არაფერს მოუტანს კვიპროსელ თურქებს. გაზეთ „ხარავგის“ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში თურქეთის კომპარტია აღნიშნავს, რომ კვიპროსის გაყოფით დაინტერესებული არიან მხოლოდ იმპერიალისტური წრეები, რომლებსაც სწადიათ სამხედრო ფორფოსტად აქციონ იგი. ამ აქციას, ნათქვამია განცხადებაში, ვერ გაჯანხლავთ ამერიკისა და ნატოს იმ გეგმების ფარგლებს გარეთ, რომელთა მიზანია დაძაბულობის გამწვავება ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში. თურქეთის კომპარტიამ გააკრიტიკა ამერიკის იმპერიალიზმის პოზიცია კვიპროსში მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ იგი ვერავის ვერ მოატყუებს.

ასეთი პოზიცია, აღნიშნულია დოკუმენტში, მხოლოდ ადასტურებს ვაშინგტონის პირფერობას, რომელიც უკანასკნელ წლებში არაერთგზის ცდილა კვიპროსის ამბების განვითარება ამერიკის გეგმების კალაპოტში მოექცია, რომელთა მიზანია სამხედროსტრატეგიულ ბაზად გაიხადონ კუნძული აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ თურქეთის კომპარტია მხარს უჭერდა და უჭერს დამოუკიდებელ, სუვერენულ, ტერიტორიულად მთლიან და უცხოთის ჯარებისაგან თავისუფალ კვიპროსს. იგი ყოველთვის იბრძოდა კუნძულის ორ თემს შორის უშიშროების, მეგობრობისა და თანამშრომლობის კლიმატის დამყარებისათვის, კომპარტია თურქთა და კვიპროსელთა ხელმძღვანელობას მოუწოდებს გააუქმონ თავიანთი გადაწყვეტილება და განაახლონ თემების კონსტრუქციული მოლაპარაკება კვიპროსზე.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● **ლონდონი. ინგლისის ეკლესიათა საბჭომ გადაჭრით დაგმო ევროპის კონტინენტზე ამერიკის „პერშინგების“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგება.** საბჭოს მიერ ერთსულოვნად მიღებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ამერიკის პირველი დარტყმის ბირთვული იარაღის განლაგება „ხელს არ უწყობს მშვიდობის განმტკიცებასა და ევროპის ქვეყნების უშიშროებას“. დოკუმენტი აგრეთვე მოუწოდებს კონსერვატორთა მთავრობას შეამციროს დიდი ბრიტანეთის ბირთვული არსენალები, აგრეთვე ხაზგასმულია იმის საჭიროება, რომ გაითვალისწინონ ჟენევის მოლაპარაკებაზე ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვული იარაღი.

● **ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა მოლაპარაკება გამართა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ი. თიურქმენთან, რომელიც აქ ორი დღის ვიზიტად იმყოფებოდა.** უფრო ადრე იგი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს შულცს, ხოლო მოგვიანებით მას მიიღებს თავდაცვის მინისტრი უაინბერგერი.

როგორც დღევანდელ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა თიურქმენმა, ამ შეხვედრებზე ძირითადად განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და თურქეთის თანამშრომლობის გაფართოების საკითხები სხვადასხვა დარგებში, მათ შორის სამხედრო დარგში.

● **ჯაპარტა. ინდონეზიის მთავრობის გადაწყვეტილებით უცხოეთის კომპანიების კუთვნილი 200 საწარმო უახლოეს 5 წელიწადში უნდა დაექვემდებაროს ეროვნული საქმიანი წრეების კონტროლს.** ეს განაცხადა აქ კაპიტალდაბანდებათა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ რასიდიმ.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐ

ᲣᲚᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲦᲐᲚᲐᲢᲘ

ნ. კინოკი: ხალხი არასოდეს აპატიებს მ. ტეტჩერს მის თანხმობას ამერიკული რაკეტების განლაგებაზე

თოფმომარჯვებული ინგლისელი მედესანტეების ორმაგი რკალი, ცაში დაკიდებული ვერტმფრინავები, საარმიო სატვირთო ავტომანქანებით ჩახერგილი მისასვლელი გზები „ასაფრენ-დასაჯდომ ზოლებთან — ასე გამოიყურებოდა ამ დღეებში გრინემკომონის სამხედრო-საჰაერო ბაზა ინგლისის ბერკშირის საგრაფოში. 14 ნოემბერს იქ ჩაიტანეს პირველი ამერიკული ფრთოსანი რაკეტები. ორი ყრუდ დახშული კონტეინერი გადმოტვირთეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების გიგანტურ სატრანსპორტო თვითმფრინავ „სტარლიფტერიდან“ და გაძლეერებული დაცვის თანხლებით საწყვერებით ბეტონის ბუნკერებში გადაზიდეს.

ამ დღიდან ოკეანეზე გადებული „საჰაერო ხიდით“ რეგულარულად დაიწყო ბრიტანეთში რაკეტებითა და მათი კომპონენტებით სავსე ამერიკული კონტეინერების ჩატანა.

16 ნოემბერს ბაზაში დაეშვნენ ამერიკული სატრანსპორტო თვითმფრინავები „მელაქსი“ და „სტარლიფტერი“. ამ უკანასკნელიდან გადმოტვირთეს 14 ნოემბერს ჩატანილი ტვირთის ანალოგიური რვა კონტეინერი. მაგრამ, როგორც იმავე დღეს ბი-ბი-სის ტელეკომპანიამ თავის რეპორტაჟში აღნიშნა, „ბევრად მნიშვნელოვანი“ იყო „მელაქსის“ ტვირთი. „მეორე ზომის კონტეინერების გადმოტვირთვისას თვითმფრინავს იცავდნენ თავით ფეხამდე შეიარაღებული ამერიკელი ჯარისკაცები, და, როგორც ჩანს, მათში იდო ფრთოსანი რაკეტების ბირთვული ქობინები“, — აღნიშნავდა ბრიტანეთის ტელევიზია.

ამ ცნობამ უკანა პლანზე გადასწია ბრიტანეთის საშინაო ცხოვრების ყველა მოვლენა. „მომაკვდინებელი რაკეტები ინგლისში“, „გრინემკომონელი ქალები მზად არიან სამხედრო ბაზის ალყისათვის“, — ამგვარი სათაურებით აჭრელდა ბრიტანეთის გაზეთების პირველი გვერდები.

„სირცხვილი!“, „ბრიტანეთის ეროვნული ინტერესების ღალატი!“, — ასეთი შეძახილებით შეხვდა ლეიბორისტული ოპოზიცია თავდაცვის მინისტრს მ. ჰეზლტაინს, როცა მან თემთა პალატაში ამ ახალი ამერიკული ბირთვული იარაღის ინგლისში ჩატანის ამბავი გამოაცხადა.

ვესტმინსტერში გამოსვლისას ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერმა ნ. კინოკმა აშკარად დასდო ბრალი ტორის კაბინეტს, რომ მან ზურგში ჩასცა დანა ევნევის მოლაპარაკებს ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის შეზღუდვის შესახებ. „ბრიტანელი ხალხი, — განაცხადა მან, — არასოდეს აპატიებს მ. ტეტჩერს მის თანხმობას ქვეყანაში „პირველი დარტყმის“ ბირთვული იარაღის განლაგების თაობაზე. ასეთი იარაღის არსებობა ინგლისში საფრთხეს უქმნის ქვეყნის უშიშროებას, საფრთხეს უქმნის მშვიდობას“. ლეიბორისტთა ლიდერმა განაცხადა, რომ პარტია, რომელსაც იგი მეთაურობს, მომავალშიც იბრძოლებს გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ.

„ბრიტანეთის სუვერენიტეტის უსირცხვილო ღალატი“ უწოდა ქვეყანაში რაკეტების განლაგებას ლეიბორისტთა ყოფილმა ლიდერმა მ. ფუტმა. „ბრიტანეთის ეროვნული დამოუკიდებლობის დამამცირებელი გაყიდვა“ — ასე შეაფასა ინგლისში ვაშინგტონის სრულ კონტროლს დაქვემდებარებული ბირთვული რაკეტების განლაგება ლეიბორისტმა დეპუტატმა რ. ლეიტონმა.

ინგლისის პრესა ასკვნის, რომ შეერთებულმა შტატებმა ამჯერად „ზედმეტად“ ჩათვალა კონსულტაცია თავის „უმცროს პარტნიორთან“ რაკეტებთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზეც კი. გაზეთებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ თავდაცვის მინისტრს მ. ჰეზლტაინს მოუხდა ვიზიტის შეწყვეტა ოლდერშოტში განლაგებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში, რათა სასწრაფოდ მისულიყო დაუნინგსტრიტზე და პარლამენტში გამოეცხადებინა რაკეტების ჩამოტახა.

ლონდონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ბირთვული განიარაღებისათვის ინგლისელთა მოძრაობის ხელმძღვანელებმა მოუწოდეს ყველა ინგლისელს კიდევ უფრო აქტიურად ჩაებან თავიანთი ქვეყნის შეერთებული შტატების ჩაუძირავ ბირთვულ ავიამზიდად გადაქცევის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაიწყოს „მოქალაქეობრივი ურჩობის კამპანია“, რათა აიძულონ ტორის კაბინეტი უარი თქვას ინგლისში რაკეტების დისლოკაციაზე.

საზოგადოებრივი აზრის ბოლოდროინდელი გამოკითხვის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა — 62 პროცენტი არ იწონებს ინგლისში ამერიკული ფრთოსანი რაკეტების განლაგებას. დღითი დღე ძლიერდება პროტესტების ტალღა. სულ უფრო მწვავე და შეუთანხმები ხდება საზოგადოებრიობის ბრძოლა ნატოს საშიში გეგმების განხორციელების წინააღმდეგ.

ცდილობს რა ჩააცხროს ომის საწინააღმდეგო მოძრაობა, კონსერვატიულმა კაბინეტმა მის წინააღმდეგ გამოიყენა მძლავრი პოლიციური აპარატი. სამშვიდობო დემონსტრაციების 200-ზე მეტი მონაწილე დააპატიმრეს ამ დღეებში გრინემ-კომონის სამხედრო-საჰაერო ბაზასთან.

„არა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა, არამედ კონსერვატორთა მთავრობა არღვევს დღეს კანონს, როცა თანხმდება ჩვენს მიწა-წყალზე ამერიკის შეერთებული შტატების კონტროლს დაქვემდებარებული ბირთვული რაკეტების განლაგებას“, — თქვა ბირთვული განიარაღებისათვის მოძრაობის გენერალურმა მდივანმა ბრიუს კენტმა.

ᲞᲘᲜᲝᲩᲔᲢᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲡ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. ჩილეს პროფკავშირთა ეროვნულმა საკოორდინაციო ცენტრმა, რომელიც ქვეყნის უდიდეს პროფკავშირულ ორგანიზაციებს აერთიანებს, მოითხოვა დაუყოვნებლივ გადადგეს პინოჩეტი, ბათილად იქნეს ცნობილი ანტიხალხური კანონები და გაუქმდეს რეპრესიული აპარატი.

საკოორდინაციო ცენტრის განცხადებაში, რომელიც სანტიაგოში გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ პინოჩეტმა ფართოდ გაუღო კარი უცხოეთის, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის მონოპოლიებს, რომელთა განუყოფელი პარპაში ქვეყანაში სიღატაკესა და უუფლებობას არგუნებს წილად ჩილელებს. შრომის ყველა კანონი,. რომლებიც ფაშისტურმა დიქტატურამ შემოიღო თავისი მმართველობის 10 წლის მანძილზე, აღნიშნულია განცხადებაში, მიზნად ისახავს უცხოელი მეწარმეებისა და მსხვილი ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დაცვას. ამ კურსმა ქვეყანას მოუტანა ღრმა ეკონომიკური კრიზისი, რაც განუწყვეტელ რეპრესიებთან ერთად ერთობ დაძაბულს ხდის ვითარებას ჩილეში.

შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია, ნათქვამია დოკუმენტში, დიქტატორის დაუყოვნებლივ გადადგომა და დემოკრატიული მართვა-გამგეობის აღდგენა.

რეპრესიებისა და უცხოეთის მონოპოლიათა მოძალების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ჩილეში ფართოდ ფეთქავს საგაფიცვო მოძრაობა. გაფიცვები მოედო ეროვნული ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა წამყვან დარგს.

სურათზე: სანტიაგოში გამართული ერთ-ერთი დემონსტრაციის მონაწილენი მოითხოვენ დემოკრატიული უფლებების აღდგენას.

აპ-საკლესის ფოტო.

ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებში უმუშევრობამ მთელი ოსის შემდგომი პერიოდის მანძილზე რეკორდულ დონეს მიაღწია. როგორც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების სტატისტიკური სამმართველო იუწყება, მიმდინარე წლის ოქტომბრის დამლევისათვის „ათეულის“ ქვეყნებში 12,1 მილიონი კაცი მოკლებულია შრომის უფლებას, რაც, „მცირე ევროპის“ მთელი თვითმოქმედი მოსახლეობის 10,8 პროცენტს შეადგენს.

„ზედმეტი ადამიანების“ ყველაზე დიდი არმია რეგისტრირებულია ინგლისში — 3,1 მილიონი კაცი, მეორე ადგილი უჭირავს იტალიას — 2,3 მილიონი, და მესამე საფრანგეთს — 2,2 მილიონი.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲛᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Ზ. Გ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ნორჩი მაყურებლისათვის

ᲛᲔᲗᲝᲗᲔᲯ იმართება რესპუბლიკაში კვირეული „თეატრი და ბავშვები“. იგი 24 ნოემბერს დიდი კონცერტით გაიხსნა თბილისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

სცენური ხელოვნების დღესასწაულში მონაწილეობენ პრაქტიკულად საქართველოს ყველა დრამატული, მუსიკალური, თოჯინების თეატრი, აგრეთვე მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები. როგორც ყოველთვის, კვირეულის აფიშაში შეტანილია კლასიკური და თანამედროვე რეპერტუარის საუკეთესო სპექტაკლები. კვირეულის ფარგლებში შემოქმედებითი კოლექტივები ანგარიშით წარდგებიან პედაგოგების, შობლების, საზოგადოებრიობის წინაშე.

ამ დღეებში ბავშვებს ბევრი საინტერესო შეხვედრა ელით. გიმართება საუბრები, ექსკურსიები, კონკურსები საუკეთესო რეცენზიის, ნახატის, თხზულებისათვის. ტრადიციისამებრ, მოეწყობა „ღია კარის დღეები თეატრებში“, „თეატრში პირველად მისვლის დღესასწაული“, „სოფლის მოსწავლის დღეები“. ყმაწვილები შეხვდებიან რეჟისორებს, მხატვრებს, სასცენო ხელოვნების ოსტატებს. თეატრალური დღესასწაულის დღეებში გაიმართება მშობელთა, თეატრის მოღვაწეთა, პედაგოგთა კონფერენციები, რომლებიც მიეძღვნება ხელოვნების როლს პიროვნების ესთეტიკურ აღზრდაში, ჩამოყალიბებასა და ახალგაზრდა თაობის სულიერ განვითარებაში.

დღესასწაულს დააგვირგვინებს შეხვედრა, რომელზეც კონკურსების გამარჯვებულებს დაადაცემათ საქართველოს განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, ალკკ ტენტრალური კომიტეტისა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების დიპლომები.

— კვირეულის მთავარი აზრი ის არის, რომ იგი მთელი წლის მანძილზე ბავშვებთან თეატრების მუშაობის ერთგვარი შეჯამება, ამ დარგში მიღწეულია ფართო და საჯარო ეთაკლიერება გახდეს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა. — ეს, რა თქმა უნდა, ეხება „მოზრდილ“ თეატრებსაც.

მრავალსა და მრავალს ამ დღესასწაულზე სცენური ხელოვნების მშვენიერი სამყაროო გადაუშალა. სასურველი იქნებოდა, რომ ყოველმა მორიგმა „კვირეულმა“ ახალგაზრდებს ბევრი ახალი და საინტერესო რამ შესძინოს. (საქინფორმი).

ᲤᲐᲥᲠᲐᲥᲘ

პრეტენდენტთა მატჩებზე

ლონდონი

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „გრეით ისტერნის“ დარბაზში ოთხი პრეტენდენტი ერთდროულად მიუჯდა საჭადრაკო დაფებს. სმისლოვმა და რიბლიმ დაამთავრეს თავიანთი პირველი გადადებული პარტია, ხოლო კორჩნოი და კასპაროვი მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს.

როგორც ვიუწყებოდით, სმისლოვს მატერიალურად თანაბარ დაბოლოებაში პოზიციური უპირატესობა ჰქონდა. მსოფლიო ექსჩემპიონმა თანდათან კიდევ უფრო გაუმჯობესა თავისი მდგომარეობა, მაგრამ მოგებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. როგორც საჭადრაკო მიმომხილველები აღნიშნავდნენ, საბჭოთა მოჭადრაკეს იმდენივე შესაძლებლობა ჰქონდა მოგებისა, რამდენიც უნგრელს— ყაიმისა. მომდევნო ბრძოლაში სმისლოვმა, რომელიც ენდშპილის დიდებულ მცოდნედ ითვლება, გამოიყენა მეტოქის უმნიშვნელო შეცდომები და 65-ე სვლაზე გაიმარჯვა.

დაგომისი

ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ დაამთავრეს თავიანთი მეხუთე გადადებული პარტია.

პარტია შეწყვეტილი იყო ასეთ პოზიციაში ნ. იოსელიანი (თეთრები) — მფg1, ეd5, კf2, პ3. b2, g2, h3 (6). სემიონოვი (შავები) — მფg8, ეa4 ma6 პ3 a7, ი6, f5, g7, h6 (8).

იოსელიანის მდგომარეობა, რომელსაც ორი პაიკი აკლდა, რა თქმა უნდა, გაცილებით უარესი იყო, მაგრამ მან, თავისი სეკუნდანტების შემწეობით, ჩინებულად გააანალიზა გადადებული პოზიცია. სემიონოვი, თავის მხრივ, უზუსტოდ თამაშობდა. მაგრამ იოსელიანმა დაიბრუნა პაიკი. შექმნილ ეტლების დაბოლოებაში სემიონოვი კიდევ ინარჩუნებდა ზედმეტ პაიკს, მაგრამ მდგომარეობა საყაიმო იყო. ასეთი ენდშპილები სათანადოდ არის გარჩეული სპეციალურ მონოგრაფიებში. იოსელიანს მოულოდნელად მძიმე შეცდომა მოუვიდა, რის შემდეგაც კიეველმა ტაქტიკური მანევრით მას შამათის მუქარა შეუქმნა. შამათისაგან ხსნა კი შეიძლებოდა, მაგრამ იოსელიანს უნდა დაეთმო ერთი ეტლი. ამ ეტლის ფასად ეს ეტლი ეტლ-ეტლ ეტლ ეტლ